


დავნიერგოთ, განვაპირობოთ ყველა წარმოება- დაწესებულებაში საწარმოო ტანვარჯიშს



სურათზე: საწარმოო ტანვარჯიში გორის ლულ-ლიმონათისა და საავეჯო-სამხერხაო ქარხნებში.

დასაბუთებელი პროტესტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დუსელდორფში შეიკრიბნენ ახალგაზრდა მოთაბრუნებლები მსოფლიოს მრავალ ქვეყნიდან, ისინი აქ ჩამოვიდნენ მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. მათ, როცა რამდენიმე საათის შემდეგ უნდა დაწყებულიყო შეჯიბრება, პირველობის ორგანიზატორებმა „გადაწყვიტეს“ არ იღებოდათ მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო აღმებები და აგრეთვე არ შეესრულებინათ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სახელმწიფოთა პიშნეუ, შეჯიბრების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ამას ისინი აკეთებენ ვესტფალის შინაგან საქმეთა მინისტრის მითითებით.

სპორტისათვის ამ შეუფერებელი აქტის გამო ოფიციალური პროტესტი განაცხადეს სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებმა. მიუხედავად ამისა პირველობის საორგანიზაციო კომიტეტმა უარი თქვა თავისი „გადაწყვეტილების“ შეცვლაზე, რის გამოც ვლრ-ს, სსრ კავშირის, უნგრეთისა და პოლონეთის სპორტსმენებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიო პირველობის გათამაშებაში.

პროლეტარებო ყველა მკაფინსა, შეერთდით!



საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО
 Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 41 (1677) საბუბათი, 4 აპრილი, 1961 წ. ბამოცემის 80-17 წელი. ფასი 8 კაპ.

საბჭოთა წყალბურთელთა გამარჯვება

მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც პირველი ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ანგარიში გახსნეს გერმანელებმა. შემდეგ ა. შილდოვსკიმ და ნ. ნოვიკოვმა გაიტანეს თითო ბურთი.

შესვენების შემდეგ ინიციატივა მილიანდ ჩვენი გუნდის მხარეზე იყო, რომელმაც კიდევ სამი ბურთით გაზარდა ანგარიში. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა წყალბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 5:1.


ს. ლოპატინის მსოფლიო რეკორდი

ქაირთში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ძალისხმევით საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. პირველ სამ წონით კატეგორიაში გამარჯვება საბჭოთა ძალისხმევას დაეკუთვნა. აღსანიშნავია ამ შეჯიბრებაზე ს. ლოპატინის ბრწყინვალე გამარჯვება მსუბუქ წონაში. მან ორი ხელით აქიმა 133 კგ და დაამყარა მსოფლიო რეკორდი.

პარტიის არ შედგა

გუშინ, 3 აპრილს ტალის ავადმყოფობის გამო არ შედგა მატჩ-რევანშის IX პარტია.

IX პარტია შედგება 5 აპრილს. VIII პარტიის შემდეგ მატჩ-რევანშის ანგარიშია 4,5:3,5 ბოტინიკის სასარგებლოდ.



ირანისა და საბჭოთა კავშირის მოქიდავეთა პირველი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ ცენტრალურ პრესაში გამოითქვა მეტად საყურადღებო აზრი იმის შესახებ, რომ ასეთ საპასუხისმგებლო მატჩებს ნეიტრალური ქვეყნების მსაჯები უნდა სჯიდნენ. უღაოდ ჰეშმარიტება! როგორი კეთილი სურვილებითაც არ უნდა ყოფილიყვნენ განწყობილი ჩვენი ტემპერამენტის სტუმრები, მათი სიმპათიები გუშინდელ შეხვედრაში თანამემამულეთა მხარეს იხრებოდა. ისინი გულწრფელად დელადნენ, განიცდიდნენ ყოველი ბრძოლის წერილმანებს და კრიტიკულ მომენტში ჰკარგავდნენ მოვლნათა მსვლელობის ობიექტურად აღქმის უნარს.

პირველი ქულა ჩვენს გუნდს ა. ალიევა მიაღწია, რომელმაც საკმაოდ მეთოდურად და დამაჯერებლად მოუგო კ. სალტანინაჯათს. შემდეგ ხალიჩაზე გამოვიდნენ მჩატე წონის მოქიდავეები შ. ბაბულიდი და ზ. მჭედლიშვილი. შეუპოვარ ბრძოლაში უპირატესობას დიდხანს ვერც ერთმა სპორტს-

მენმა ვერ მიიღწია. შეხვედრის მიწურულში ირანელმა მჭედლიშვილის ჩოქბენში გადაყვანა შეძლო, მაგრამ ქართველმა მოქიდავემ იმავე წამს ერთქულიანი ილეო ჩაატარა, რომელიც მსაჯებმა არასრულდასთვალ. შეუფასეს. გამარჯვება მიეყუთნა ირანელს და ანგარიშიც გათანაბრდა.

გ. რუბაშვილმა ბრძოლა ხ. თავაქოლის წინააღმდეგ მისთვის ჩვეულ თამამ და აგრესულ სტილში ჩაატარა. სხვათაშორის გაბედულებაში მას არც ირანელი ჩამორჩა. იგი შეხვედრის უკანასკნელ წუთამდე კეთილსინდისიერად იბრძოდა და არც ერთხელ, კრიტიკულ მომენტშიც კი არ ცდილა ხალიჩიდან გაქცევა. ქულებით გაიმარჯვა რუბაშვილმა. რ. ჭლამაძისა და მ. სანატკარანის შეხვედრაში არ გაკეთდა არც ერთი ქულა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

ძნელი საფიქრებელი იყო, რომ საქართველოს ჩემპიონი გ. სალარაძე დაამარცხებდა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონს ი. ხაბიბის მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა ელვისებური ილეოთი წაართვა ქულა მეტოქეს მეორე წუთზე. მაგრამ ქართველი მოქიდავის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ სამჯერ გადაიყვანა ირანელი ჩოქბენში და ბრძოლა მისთვის საკირო კალაპოტში ჩააყენა. მოსალოდნელი იყო, რომ სალარაძე გამარჯვების შესანარჩუნებლად აქტიურ გზას მონახავდა, მაგრამ მან ყველასათვის მოულოდნელად პასიური ტაქტიკა აირჩია. მსოფლიო ჩემპიონი გააფთრებით იბრძოდა ქულათა გასათანაბრებლად, მაგრამ ამაოდ. შეხვედრა ქულებით ქართველმა მოქიდავემ მოიგო.

გ. გობეჯიშვილმა და მ. მეხტი

4,5:3,5
 ა ს ე თ ი ა
 ა ნ გ ა რ ი შ ი

საქართველოსა და ირანის ნაკრების გუნდების საერთაშორისო შეხვედრა ტავისუფალ ვიდეოგაზი

ზადეს შეხვედრის ბედი მეთორმეტე წუთზე გადაწყდა. ირანელმა ელვისებურად შევარდნით მიიღო ერთადერთი ქულა, რაც სავესებით საქართველოს იყო გამარჯვებისათვის. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გ. ტახტიმ ბრწყინვალე სტილში დაამარცხა ა. ალბული მეექვსე წუთზე.

მძიმე წონის მოქიდავეთა შეხვედრის წინ ანგარიში იყო 3,5:3,5. ბრძოლა დაიწყო თავიდან, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ერთადერთ და უკანასკნელ შეხვედრას ო. კანდელაკსა და ა. ქიანის შორის, დასაწყისში ბედმა ირანელს გაუღიმა, მან მოწინააღმდეგე ელვისებურად შევარდნით ჩოქბენში გადაიყვანა, სულ მალე ირანელი აღმოჩნდა ლეიბზე ქვემოთ. ახლა კანდელაკმა წამოიწყო გადამწყვეტი შეტევა, რომელიც ნელ-ნელა მოწინააღმდეგის ხილზე გადაყვანით და შემდეგ ჰექებზე დაწვებით დამთავრდა. ამ მოგვებამ საქართველოს გუნდს მოუტანა საპატიო გამარჯვება მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივზე — ირანის ნაკრებზე — 4,5:3,5.

ს. ახვლედიანი

როგორც ცნობილია, ირანელმა მოქიდავეებმა პირველი შეხვედრა მოსკოვში გამართეს. ამ შეჯიბრებას ესწრებოდა მსოფლიოს ორჯის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბაღვაძე. მან ირანელ მოქიდავეებში ბევრი ძველი ნაცნობი ნახა. ამ სურათზე სწორედ ეს მომენტი ახსვლი. ვ. ბაღვაძე (მარჯვნივ) ესაუბრება ირანელ მოქიდავეებს.

საწარმოო ტანვარჯიშს ყველა უნდა დაეწყო!


მეტალურგებთან

საბჭოთა კავშირში საწარმოო ტანვარჯიშის პრობლემებზე მუშაობას საქმით ისტორია აქვს და მისი ფიზიოლოგიური მექანიზმები კარგად არის ცნობილი. დადგენილია, რომ სამუშაო დღის რეჟიმში საწარმოო ტანვარჯიშის ჩართვა ზრდის შრომისუნარიანობას, ამცირებს პროფესიულ ტრავმატიზმს და ხელს უწყობს მომუშავეთა ორგანიზმის ჯანმრთელობის განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ნაკლებად შესწავლილი, თუ ცალკეული საწარმოს თავისებურების მიხედვით რა სახის სპეციალური ვარჯიშები იქნას გამოყენებული და რა ხანგრძლივობითა და დატვირთვის ინტენსივობით ჩატარდეს იგი სამუშაო დღის რეჟიმში.

ამ მიზნით საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პიეიენისა და სამკურნალო ფიზკულტურის, ფიზიოლოგიისა და ტანვარჯიშის კათედრების თანამშრომლების მიერ (დოცენტების ზ. კოვზირიძის და შ. ჩახნაშვილის ხელმძღვანელობით) შესწავლილ იქნა თბილისის № 1 სამკურნალო ფაბრიკის პიეიენური პირობები, შრომითი პროცესების თავისებურებანი და ის ფიზიოლოგიური ცვლილებანი, რაც აღიქვამება მომუშავეთა ორგანიზმში სამუშაო დღის განმავლობაში. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე სამკურნალო ფაბრიკის მუშებისათვის შედგენილ იქნა ვარჯიშთა კომპლექსები და მისი ჩატარების მეთოდიკა.

1960 წლიდან ინსტიტუტის თანამშრომლები მუშაობას აწარმოებენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, დღეისათვის შესწავლილია საბარამდე, მარტენის, მილსაგლინავი, კოქსოპიშიური და სხვა ძირითადი სამკურნალო ვარჯიშის საწარმოო ვარჯიშის სანიტარულ-პიეიენური მდგომარეობა (მიკროკლიმატი, მტვერისა და მავნე გაზების კონცენტრაცია ჰაერში და სხვა) და აღნიშნულ სამკურნალო მომუშავეთა ორგანიზმის ფიზიოლოგიური თავისებურებანი, კვლევის ძირითად მიზანს შეადგენს გამოინახოს მეტალურგიული ქარხნის ძირითად

სამკურნალო საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საშუალებანი და მისი ჩატარების მეთოდიკა.
შ. ჩახნაშვილი,
ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.
სწრაფი: ქვევით — ინსტიტუტის თანამშრომლები მარტენის სამკურნალო.



სწრაფი: შრომის დაცვის თბილისის ექსპერიმენტალური ლაბორატორიის მუშაკი, უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი გ. გოგობია ატარებს ფიზკულტურას.

პიეიენური სამკურნალო მისხლეპით

გონებრივი შრომის კატეგორიას სხვადასხვა პროფესიის მუშაკები მიეკუთვნებიან. ნაკლები მოძრაობით შესრულებული მუშაობა იწვევს ზერელე სუნთქვას, სისხლის ცირკულაციის ინტენსივობის დაქვეითებას, ეცემა ორგანიზმის ცხველმყოფელობა, მისი ქსოვილები, მათ რიცხვში თავის ტვინის, ღებულობენ ნაკლებ საკვებ ნივთიერებებს და უანგბადს. ამასთან ქვეითდება დამოსის პროტექციების გამოყოფა ფორტევეში, მუცლის ღრუს ორგანოებსა და ქვედა კიდურებში თავს იჩენს სისხლის შეკუმშვა.

საკვებ ნივთიერებათა და უანგბადის ნაკლებობა პირველ ყოვლისა შეიგრძნობა თავის ტვინის ქერქში, სადაც ყველაზე უფრო ინტენსიურად მომდინარეობს ნივთიერებათა ცვლა. ფიზიკური შრომის სისტემატური შეზღუდულობა იწვევს კუნთოვანი სისტემის დასუსტებას, რაც თავის მხრივ სასუსლის მონელების ორგანოების მოშლასაც ახდენს გავლენას (ნეკროზობა, კუჭ-ნაწლავის ატონია) წელში ხრის ადამიანს და სხვ.

ამგვარი შრომის პირობებში დასვენების საუკეთესო ფორმად მიჩნეულია აქტიური დასვენება — ფიზიკური ვარჯიშების — ე. წ. ფიზკულტურული პაუზების შესრულება. სწორად შედგენილ, სრული ამპლიტუდით შესრულებულ ვარჯიშებს შეუძლიათ მოგვცენ სასურველი შედეგები ზემოდასახელებულ ფიზიკურ ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად და ორგანიზმის გასავითარებლად.

გახუთ „ლელოს“ რედაქცია აკმაყოფილებს მკითხველთა მოთხოვნებს და ბეჭდვს გონებრივ შრო-

მასთან დაკავშირებული მუშაკებისათვის ფიზკულტურის სახელმწიფო კომპლექსებს.

პირველი კომპლექსი

პირველი ვარჯიში. ს. მ. (საწყისი მდგომარეობა), ძირითადი დგომა. თვლა: 1-2 აიწიეთ ფეხის ცერებზე, ხელები განმკლავის გადაცილებით აიტანეთ მაღლა, შეაერთეთ ხელის გულები, ჩაისუნთქეთ. 3-4 ნებების გაზე მობრუნებით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას — ამოისუნთქეთ, ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ ნელ ტემპში.

მეორე ვარჯიში. ს. მ. დონივი, თვლა 1-2 მარჯვენა ფეხი გადადგით უკან, განმკლავის გადაცილებით, ხელები დაიდეთ კეფაზე, გადაიხიწეთ უკან, უფურთხ ზევით, ჩაისუნთქეთ. 3-4, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ. იგივე ვარჯიში შეასრულეთ მარცხენა ფეხზე. ვარჯიშები გაიმეორეთ 4-6-ჯერ საშუალო ტემპში.

მესამე ვარჯიში. ს. მ. ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე, ხელები თავსუკან, იდაყვები გადატანილია რაც შეიძლება უკან, თვლა 1. გადაიხიწეთ მარჯვნივ, 2. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, 3. გადაიხიწეთ მარცხნივ, 4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ თვითულ მხარეს 4-6-ჯერ საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარია.

მეოთხე ვარჯიში. ს. მ. დონივი, თვლა 1. წახტობით მარცხენა ფეხი გადადგით წინ, მარჯვენა უკან (ცერებზე), 2. წახტობით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, 3.

წახტობით მარჯვენა ფეხი გადადგით წინ, მარცხენა უკან (ცერებზე), 4. წახტობით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. შეასრულეთ 24-32 წახტობი, შემდეგ იარეთ ადგილზე 30 წამის განმავლობაში. ტემპი საშუალოა, სუნთქვა თანაბარია.

მეხუთე ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლა 1. გადადით მარჯვენა ფეხი წინ ცერებზე, მკლავები წინ, 2. მომუქეთ ხელები ძლიერად, დაიმეთ ხელების კუნთები, 3. გადადით მარჯვენა ფეხი განზე, მკლავები განზე, მოაღუნეთ ხელების კუნთები, 4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. შემდეგ იგივე ვარჯიშები შეასრულეთ მეორე ფეხზე, ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ ცალკეულ მხარეს საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარია.

მეექვსე ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლა 1-2. მარჯვენა ფეხი გადადგით განზე შლიფებ დგომაში, მკლავები განზე, დაიხარეთ წინ, იყურეთ წინ, რაც შეიძლება მოაღუნეთ კუნთები, განსაკუთრებით ხელებისა და წინამხრის. დაქნევით (დაბერტყვით) დაუშვით მკლავები ამოისუნთქეთ. 3-4. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ თვითულ მხარეს ნელ ტემპში.

მეშვიდე ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა, მკლავები წინ, ნებები ქვეითი. შეასრულეთ (1-4 თვლაზე) დაიწყოთ მარცხენით ადგილზე სიარული, მუხლების მაღლა აწევით, მეოთხე სვლაზე მარჯვენა მუხლი შეახეთ მარჯვენა ხელს, მარჯვენა ფეხის დაშვებით დაიწყოთ თვლა და მეოთხე თვლაზე მარცხენა მუხლი შეახეთ მარცხენა ხელს, შეასრულეთ 32-40 თვლა საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარია.

მეორე კომპლექსი

პირველი ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლაზე 1-2 გადადით მარცხენა (მარჯვენა) ფეხი უკან ცერებზე, ხელები წინმკლავის გადაცილებით აიტანეთ მაღლა, გაიმეორეთ, იყურეთ ზევით, ჩაისუნთქეთ. 3-4 განმკლავის გადაცილებით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ, გაიმეორეთ 6-8-ჯერ თვითულ ფეხზე ნელ ტემპში.

მეორე ვარჯიში. ს. მ. დონივი ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე. თვლაზე 1-2 მარცხნივ მობრუნებითა და წინმკლავის გადაცილებით შეასრულეთ განმკლავი უარამდე, გლევით ნებები მიმართეთ ზევით, 3-4 იგივე ვარჯიში მეორე მხარეს. ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ თვითულ მხარეს საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარია.


მესამე ვარჯიში. ს. მ. ფეხშლით დგომა მხრებზე განივად, მარცხენა ხელი დონივში, მარჯვენა წინ თვლაზე 1-2 მოაბრუნეთ ზეტანი მარჯვნივ, მარჯვენა ხელი ქვერკალის გადაცილებით აიტანეთ მაღლა, ჩაისუნთქეთ. 3-4 მოაბრუნეთ ზეტანი მარცხნივ, დაიხარეთ წინ, მუხლები არ მოაღუნოთ და მარჯვენა ხელით შეეხეთ მარცხენა ფეხის ცერს, ამოისუნთქეთ. იგივე ვარჯიში გაიმეორეთ მეორე მხარეს. ვარჯიში თვითულ მხარეს უნდა შესრულდეს 4-6-ჯერ საშუალო ტემპში.


მეოთხე ვარჯიში. ს. მ. დონივი, ფეხშლით დგომა მხრების სიგანეზე. თვლაზე 1. ცერებზე წახტობით გადააჯვარედინეთ ფეხები, მარჯვენა ფეხი წინ, 2. მიიღეთ საწყისი მდგომარეობა. 3-4. იგივე, მარცხენა ფეხი წინ, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებით, შეასრულეთ 24-32 წახტობი, შემდეგ იარეთ ადგილზე 30 წამის განმავლობაში, ტემპი საშუალოა, სუნთქვა — თანაბარია.

მეხუთე ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა. თვლაზე 1. აიტანეთ თავისუფლად მკლავები განზე ხელის გულები მიმართეთ ზევით, 2. მომუქეთ ხელები, მოაღუნეთ მკლავები გადახევით, დაიმეთ მთელი სხეული, იდაყვები არ დაუშვით ძირს, 2. გამართეთ მკლავები და გამოაღეთ ხელები, მოაღუნეთ მთელი სხეული. 4. დაუშვით მოაღუნებულ ხელები ძირს დაქნევით (დაბერტყვით), ორნე დაიხარეთ წინ, ვარჯიში გაიმეორეთ 6-8-ჯერ, ტემპი საშუალოა, სუნთქვა — თანაბარია.

მეექვსე ვარჯიში. ს. მ. დონივი, ფეხშლით დგომა, მხრებზე განივად. თვლაზე 1-2 დაიხარეთ წინ, მოაღუნეთ მკლავები, ხელის თითებით შეეხეთ იატაკს, მუხლები არ მოაღუნოთ, ამოისუნთქეთ, 3-4 დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ, ვარჯიში ნელ ტემპში გაიმეორეთ 6-8-ჯერ.

მეშვიდე ვარჯიში. ს. მ. ძირითადი დგომა, განმკლავი. შეასრულეთ (1-8 თვლაზე) მარცხენა ფეხით დაიწყოთ ადგილზე სიარული, მუხლის მაღლა აწევით, 3-4 თვლაზე ხელები გადაიტანეთ წინ და შემოკარით ტაში ორჯერ ს. მ. დაბრუნებით 5-8 თვლაზე იგივე მარჯვენა ფეხით, მხოლოდ ტაში შემოკარით შემკლავი. შეასრულეთ 32-48 თვლა საშუალო ტემპში, სუნთქვა თანაბარია.





ჩვენი სტუმარი



თბილისის სახელმწიფო ცირკში ცნობილ ილუზიონისტ კიოს ვახტაროვების პირველი ნახევარი ეთმობა უნაგლიორებს, ცხოველთა მომთინიერებლებს, აკრობატებს და მხედრებს...

სურათში: ი. ტუგანოვსა და რ. დენისოვის გამოსვლები.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

უ. კაკონაიშის თასზე

ფინეთის პრეზიდენტმა უ. კაკონაიშმა ლენინგრადულ მძღოლსებს სამი წლის წინათ გადასცა ვერცხლის თასი, რომელიც ყოველწლიურად თამაშდება საქალაქო შეჯიბრებებზე სეზონის დასაწყისში. ამჯერად თასის მესამე გათამაშებაში ნახევრებს იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. ვაჟთა შორის სიმალღებზე ხტომაში ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტმა ბ. ინიახინმა მესამე ცდით დაძლია 210 სმ.

100 მ რბენაში ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა თარგმრებელმა ა. მიხაილოვმა აჩვენა 10,4 წამი და გაიმეორა საქვეყნო მიღწევა დახურულ შენობისათვის. კუკით ხტომაში ერთნაირი შედეგი (4 მ 40 სმ) ჰქონდათ ტრუდელ ვ. როზენფელდსა და ლ. ბასოვს („ბურვესტნიკი“). ნაკლებ ცდათ გამო გამარჯვება მიეკუთვნა პირველს.

ქალთა შეჯიბრებაში აღსანიშნავია დების ირინა და თამარა პრესების გამარჯვება, პირველისა 80 მ თარგმნაში — 10,7 წ. მეორესი — ბირთვის კერაში — 16,59 მ. პრეზიდენტის პრემია მიიღოვეს „ბურვესტნიკის“ მძღოლსებმა.

პინ გვენჯევა თბილისში

დიდი ინტერესით ჩატარდა აშერიის შეერთებული შტატების მოცეარულთა ათლეტური კავშირის კალათბურთელთა ერთგუნული ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდნენ უძლიერესი საკლუბო გუნდები. ჩემპიონატისადმი გაზრდილი ინტერესი ორი გარემოებით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი გაშარჯებული იღებდა მოყვარულთა შორის უძლიერესი კლუბის საბატო სახელს და შემდეგ მას საბჭოთა კავშირში გამოსამგზავრებელი ნაკრები გუნდის დამომკლებების უფლება ეძლეოდა.

გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ტურნირის ფაორიტი „კლივლენდ პაიპერსი“ და „დენვერ ტრაქტისი“. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილი მატჩი ამ უნაწიკნელის მოედანზე მოეწყო, წარმატებას კლივლენდელმა კალათბურთელებმა მიაღწიეს. მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 107:96. აღნიშნულ მატჩში თავი გამოიჩინა კლივლენდის თავდასხმელმა ჯ. ადამსმა, რომელმაც თავის გუნდს 28 ქულა მოუტანა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ შედგენილ იქნა აშერიის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 19 აპრილს ექვეყნა საბჭოთა კავშირს და ჩაატარებს აშხანავურ შეხვედრებს მოსკოვის, კიევის, თბილისისა და ლენინგრადის საკლუბო კოლექტივებთან.

ტრადიციის მიხედვით ნაკრები გუნდის ბირთვად დარჩა „კლივლენდ პაიპერსის“ ხუთეული, რომელიც წელს ინდუსტრიული ლიგის საუკეთესო გუნდად ითვლება. კლივლენდმა ნაკრებს მისცა: ჯეკ ადამსი, დონ შვარტცი (თავდასხმელი), ბენი უორლვი (ცენტრალური თავდასხმელი), როჯერ ტელიორი და ჯო ბერნილი (მცველები).

„დენვერ ტრაქტისიდან“ ნაკრებში შევიდნენ: მაიკ მორანი და ლესტერ ლენინი, „აქრონ გულზარ ვინგფულტისიდან“ — ჯიმ ფრენსისი, დანარჩენი გუნდებიდან კი — ტომ მეშერი, ჯერი შიპი, პარი ტომპსონი და ჯერი ლუკასი — უძლიერესი ცენტრალური თავდასხმელი რომის ოლიმპიურ თამაშებზე, ნაკრები გუნდის მწვერთელად დანიშნულია (ასევე ტრადიციის მიხედვით) „კლივლენდ პაიპერსის“ მწვერთელი ჯონ მაკლენდონი.

რა შეიძლება ითქვას შეერთებული შტატების ეროვნულ ნაკრებზე? როგორც მოსალოდნელი იყო, იგი დამომკლებტა ინდუსტრიული ლიგის კალათბურთელებით, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი ფიზიკური მოზალებით, შესანიშნავი ტექნიკითა და ტაქტიკური მრავალფეროვნებით. ნაკრების ახალი შემადგენლობიდან საბჭოთა კალათბურთელები იცნობენ 3 სპორტსმენს — დონ შვარტცს, ჯერი ლუკასს და ლესტერ ლენინს. გუნდის წევრები უმთავრესად მაღალი ტანის და ათლეტური აგებულების კალათბურთელები არიან. ასე მაგალითად, ადამსის სიმაღლეა — 194 სმ, შვარტცის — 193 სმ, უორლვის — 201 სმ, ტელიორის — 185 სმ, ბერნილის — 185 სმ, მორანის — 206 სმ, ლენინის — 177 სმ, ლუკასის — 203 სმ, ფრენსის — 202 სმ.

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლაში, ნაკრები გუნდი ჩაატარებს ხანმოკლე შეერებას და რამდენიმე საკონტროლო მატჩს.

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)

პინ გვენჯევა თბილისში (განგრძობა)



კოგულის დარბაზში მოეწყო კალათბურთელ ქალთა გუნდების ტურნირი. გაიმარჯვეს ქობულეთის „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა.

მ. ბრახაძე ი. თეაფორასვილი



კომისია მუშაკებს

გაზეთებში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალური კომისია მსოფლიო პირველობის ფინალური ტურნირისათვის მზადების შესამოწმებლად იმყოფებოდა ჩილში. კომისიის ხელმძღვანელობდა ფიფა-ს პრეზიდენტი მისტიკალი მარსელ ბერტოლდო. მისი თანადამსახურეები იყვნენ: ტომენი (შვეიცარია), ე. ტომენი ჩილიდან ჩაედა რიოდე-ჟანიეირისი, სადაც ნახვარტოვი საუბარი მოაწყო ჟურნალისტებთან. მისი სიტყვებით, ჩილელები კარგად ემზადებიან გათამაშებისათვის, ხოლო რაც შეეხება ქალაქების არჩევანს, სადაც უნდა ჩატარდეს მატჩები, საბოლოოდ დადგინდება ფიფა-ს საგანგებო კონგრესზე ლონდონში. აქვე მოეწეობა კენჭისყრა.



შეკითხვა მ მ ი უ ზ ს

მიუხედავად იმისა, რომ 46 წლის ფეხბურთელი ს. მეტიუზი კვლავ დიდი წარმატებით თამაშობს, მისი კლუბის „ბლეკპულის“ ბრძოლისუნარიანობა საგრძნობლად დაეცა. ფანსაკურობით უფერულად თამაშობს თავდასხმის ცენტრალური სამეული, რომელიც ვერ იყენებს „ფინტების მეფის“ მიერ საუცხოოდ ჩამოწოდებულ ბურთებს. თვით „ბლეკპულელი“ ჟალოტარი არასოდეს ყოფილა შედეგიანი თავდასხმეულ (უქანასკნელი გოლი მან 1957 წელს გაიტანა).

ამსთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა ს. მეტიუზს მისცეს ასეთი შეკითხვა: „როგორ მოიქცევა იგი, „ბლეკპულმა“ რომ მეორე ლიგაში გადაინაცვლოს? მათ აინტერესებთ დაინებებს თუ არა ბოლოსდაბოლოს მეტიუზი თავს თამაშს. ამაზე ვეტერანმა უკოყმნოდ განაცხადა, რომ იგი „ბლეკპულთან“ ერთდ მეორე ლიგაშიც ითამაშებს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ილდო“, ტელეფონები: რედაქტორის—8-49-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.